

ქ.თბილისი

2016 წლის 11 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 11 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ სამეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეტვალყურეების გ. ჭიჭინაძის და გ. მიქაბერიძის ოქმი, 6 ნოემბერს, სრკ-ს ეგიდით გამართულ შვიდკაცა რაგბის ტურნირის დროს, რუსთავის „ხარები“-სა და ბოლნისის „ყოჩები“-ს მატჩის დროს მომხდარი ფაქტი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

კლუბ ბოლნისის „ყოჩების“-ს წარმომადგენელი გ. გეგენავა აპელირებდა მატჩის მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებებზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელი გ. გეგენავა დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 11 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

 /მ.თავზარაშვილი/